საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გამოდის [illegible] წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 33 (6579) 26 აგვისტო 1998 წელი ხუთშაბათი

## საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ყავს

### რესპუბლიკის პარლამენტის სხდომიდან

სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი იყო ის ინტერესი, რომლითაც ელოდნენ პარლამენტის ამ სხდომას პარლამენტარები და სრულიად საქართველო. ახლა, როდესაც სიტუაცია ჩვენს ქვეყანაში საოცრად დაძაბულია, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა უფსკრულამდე მიიყვანა ჩვენი სამშობლო, პრემიერ-მინისტრის არჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

25 აგვისტოს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომა. პარლამენტის სხდომაზე პირველი სიტყვა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ აიღო. მან ილაპარაკა რესპუბლიკაში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ამ სიტუაციიდან გამოსვლის გზებზე.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ ამ ბოლო დღეებში ჰქონდა კონსულტაციები პარტიებთან, ფრაქციების ხელმძღვანელებთან, რომელთა დროსაც ცენტრალური საკითხი პრემიერ-მინისტრის დანიშვნა გახლდათ. გუშინ მეორე შეხვედრა გაიმართა და მე შევთავაზე პარლამენტარებს, განეხილათ და პარლამენტის სხდომაზე განსახილველად გაეტანათ ბატონ ოთარ ფაცაციას კანდიდატურა — ბრძანა ედუარდ შევარდნაძემ.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა დაახასიათა ბატონი ოთარ ფაცაცია, როგორც გამოცდილი მუშაკი, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი, ეკონომიკაში ღრმად ჩახედული, მცოდნე პიროვნება, რომელსაც აქვს უნიკალური თვისება ადამიანებთან ურთიერთობისა. შემდეგ მან სთხოვა პარლამენტარებს მხარდაჭერა ამ კანდიდატურის განხილვისა და დამტკიცების პროცესში.

შემოთავაზებული კანდიდატურის გამო გაიმართა კამათი. პარლამენტარების აზრი არაერთგვაროვანი იყო. კენჭისყრამ გამოავლინა პარლამენტართა მხარდაჭერა სახელმწიფოს მეთაურის წინადადებისადმი. ფარული კენჭისყრის შედეგების მიხედვით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე არჩეულია სამოცდაოთხი წლის ინჟინერ-ეკონომისტი, მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ ფაცაცია.

სხდომაზე გამოსვლისას ახალმა პრემიერმა თქვა, რომ ახლა მთავარია ქართველი ხალხის გაერთიანება, რესპუბლიკაში ვითარების სტაბილიზება, მან მადლობა გადაუხადა პარლამენტს ნდობისათვის და აღუთქვა, რომ არ დაიშურებს ძალას და ენერგიას, რათა გაამართლოს ეს დიდი ნდობა.

## ოთარ ამბაკოს ძე ფაცაცია

**დაიბადა 1929 წელს ქალაქ ზუგდიდში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ლენინგრადის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1955 წელს ინჟინერ — ეკონომისტის სპეციალობით.**

**მუშაობდა ენგურის (ზუგდიდი) ცელულოზა-ქაღალდის კომბინატში, გაიარა რა გზა რიგითი ინჟინრიდან მის დირექტორამდე, 1965 წელს გახდა ამ კომბინატის დირექტორი. მანამდე იყო პარტიულ სამუშაოზე: ერთ დროს პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნადაც იმუშავა.**

**1992 წლის აპრილიდან ზუგდიდის გამგებელია.**

**1970 წელს ლენინგრადის სატყეო აკადემიაში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

## თავდაცვის ფონდი იზრდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ურთულეს პერიოდში ძნელია ადამიანებს ვინმემ დახმარება სთხოვოს. მაგრამ ის, ვისაც სამისო პირობები ოდნავ მაინც აქვს, ვერ იგრძნობს თავს ამაყად, რადგან მის გვერდში ვიღაცას უჭირს, ადამიანები სიღარიბისაგან დამცირებულნი არიან.

მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა თავი უნდა გადავდოთ და რომ იტყვიან, უკანასკნელი ლუკმაც კი თავდაცვის ფონდს უნდა შევმატოთ, იმდენი უნდა გავაკეთოთ, რომ უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებსაც ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ ტკივილი.

უკვე რამდენიმე თვეა, რაც რაიონის აგრომრეწვბანკში თავდაცვის ფონდი გაიხსნა, რომლის შენატანებზე პერიოდულად ვაცნობთ ჩვენს მკითხველებს. უკანასკნელი, ივლისის თვის მონაცემები კი ასეთია — სტატაღრიცხვის რაიონულ განყოფილებას 2500 კუპონი აქვს სულ ფონდში შეტანილი, საფინანსო განყოფილებას — 3000 კუპონი, რაიონის საკრებულოს გამგეობას — 22 ათასი კუპონი, ლაჯანის სკოლა-ინტერნატს — 3200 კუპონი.

ივლისში რაიონის მოსახლეობის მიერ აღნიშნულ ფონდში 30.700 კუპონია ჩარიცხული. სულ კი თავდაცვის ფონდში 353.745 კუპონია გადარიცხული.

თავდაცვის ფონდში ფულადი დახმარებების შეტანა კვლავ გრძელდება.

## სათბობი ზამთრისათვის: ჩვენ თუ...

**სექტემბერი მოახლოვდა, ვიგრძენით კიდეც, ჰაერი საკმაოდ შეგრილდა.**

**ამ გაჭირვებულ დროში პური და სათბობია საარსებო საზრუნავი, რომ ჩვენებური ზამთარი როგორმე გადავიტანოთ, შიმშილით ან სიცივით არ დავიხოცოთ. სათბობი კი მხოლოდ და მხოლოდ მამაპაპური შეშაა, რომლის მომარაგება დღეს უსაშველო სიძნელეებთან არის დაკავშირებული. არადა რა ქნან სკოლებმა, ბაღებმა, საწარმო-დაწესებულებებმა.**

**მოვუსმინოთ ცაგერის სახელმწიფო სატყეო მეურნეობის დირექტორს ბიალა ლეთოდიანს და მთავარ ინჟინერს ზურამ ჩარკვიანს.**

2000 კუბური მეტრი შეშის დამზადება გვაქვს დაგეგმილი წელს. ჯერჯერობით 200 კუბურ მეტრამდე გვაქვს დამზადებული. თითო-ოროლა მანქანა სათბობი შევიტანეთ რაისაავადმყოფოსა და რამდენიმე სკოლაში. ასე რომ, მთავარი სამუშაო წინაა. ტყეში შესასვლელი გზები გაწმენდილია, შეშის ნაწილი დამზადებულია ორბელის, ქულბაქის, ზუბისა და თითქმის ყველა უბანში. ჩვენი ორი ავტომანქანა ყოველდღიურად ეზიდება შეშას.

დაგვიანება გამოიწვია საწვავის უქონლობამ. ორი კვირაა რამდენიმე ტონა „სალიარკა" შემოვიტანეთ და უკვე გველევა. მორიგი პარტიის შემოტანის იმედი არ გვაქვს, თუ კვლავ არ დაგვეხმარა რაიონული საკრებულოს ხელმძღვანელობა.

რა შეგვიძლია ვთქვათ:

(დასასრული მე—2 გვერდზე).

## უმუშევარი და შრომის ბირჟა

**დღითიდღე მზარდი უმუშევრობა ჩვენი ყოფის რეალობაა. მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობა მოითხოვს მაქსიმალურად მობილიზებულ იქნას სოციალური დაცვის ნებისმიერი მექანიზმი. ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება ცაგერის შრომის ბირჟის დირექტორი ნუნუ გაგუხაძე.**

ცაგერის შრომის ბირჟა, რომელიც მუშაობას შეუდგა 1991 წლის 4 ნოემბრიდან, მოქალაქეთა დასაქმების სახელმწიფო სისტემის შემადგენელი ნაწილია. იგი მოწოდებულია დაეხმაროს უმუშევარ მოქალაქეებს სამუშაოზე მოწყობასა და სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფაში. არსებობის დღიდან ცაგერის შრომის ბირჟას 965 მოქალაქემ მიმართა. მათ შორის მუშა 408, უმცროსი მოსამსახურე პერსონალი — 348, ეკონომისტი — 6, ბუღალტერი — 128, ინჟინერი — 28, მედიცინის და — 26; სოფლის მეურნეობის მუშაკი — 21; ხოლო 5 მოქალაქე გაიგზავნა შეღავათიანი პენსიის გასაფორმებლად.

შრომის ბირჟა მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს უზრუნველყოფს საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან (მათი საკუთრების ფორმებისა და მეურნეობის მიუხედავად) მიღებული თანხებით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უწყება, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებისა, ვალდებულია „დასაქმების ერთიან ფონდში" ჩარიცხოს ხელფასის ფონდის სამი პროცენტი, რომელიც გამოიყენება დაუსაქმებელი მოქალაქეების შემწეობისა და სოციალური დახმარებისათვის.

ბევრი არასაბიუჯეტო საწარმო აღნიშნული თანხის ჩარიცხვისაგან თავს იკავებს, ხოლო ამ საქმეში ნაკლებ დახმარებას გვიწევს აგრომრეწვბანკი, რომელსაც ზემდგომი ორგანოებიდან მიცემული აქვს დავალება კანონით „დასაქმების ერთიან ფონდში" ყველა თვეში უნდა მოხდეს ხელფასის 3 პროცენტის წინასწარი ჩარიცხვა, შემდეგ კი გაიცეს ხელფასი.

დასაქმების ერთიანი ფონდის დირექციამ ცაგერის რაიონში დაუშვა ინსპექტორის ერთი საშტატო ერთეული, რომელსაც დაევალა სისტემატურად გაუწიოს კონტროლი 3 პროცენტი თანხის ანგარიშზე მოზიდვას.

დასაქმების ერთიან ფონდში თანხებს დროულად რიცხავენ ლაჯანურჰესის კასკადი, სამტრესტის ღვინის ქარხანა, საგზაო სამშენებლო სამმართველო, მაგრამ გასარკვევია რას ფიქრობენ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა არასაბიუჯეტო საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, კომერციული მაღაზიებისა და კოოპერატივების ხელმძღვანელები (საკუთრების ფორმებისა და მეურნეობის მიუხედავად). საჭიროა მათ მიერ დაშვებული შეცდომები მოკლე დროში თავადვე გამოასწორონ.

# სათბობი ზამთრისათვის: ჩიხი თუ...

(დასასრული)

სკოლებს, საავადმყოფოსა და ბაღებს აუცილებლად მოვამარაგებთ. ორგანიზაცია-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა იციან, მაგრამ კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ შეშას დავუმზადებთ, დავუტვირთავთ კიდეც ჩვენი ძალებით, მხოლოდ ტრანსპორტირება თავად უნდა მოაგვარონ. ჩვენი ორადორი მანქანით, კიდეც რომ საწვავი გვქონდეს და გამართულ მდგომარეობაშიც გვყავდეს, ვერ გავწვდებით ყველას.

ყველაზე მეტად გვიჭირს დამზადებული შეშის მორებად დახერხვა უბენზინობის გამო. ბენზინის ყოველგვარ ფონდირებულ შესყიდვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. კომერციულ ფასში შეძენის არც უფლება გვაქვს და არც საშუალება, არადა დღეში საშუალოდ 40 ლიტრი ბენზინი გვჭირდება. ახლა ვიანგარიშოთ, მარტო 200000 კუპონის ბენზინი დღეში. [illegible] ერთი საიდან და კიდეც რომ იყოს, ვერ შემოვიტანთ. ჩვენთან კუბური მეტრი შეშა 6000 კუპონი ჯდება. საწვავის ღირებულებაც რომ დავამატოთ, ალბათ ბევრს გაუჭირდება მისი ყიდვა. თუმცა მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ სატყეო მეურნეობას შეშის დამზადება გაცილებით ძვირი უჯდება, ვიდრე მისგან შემოსავალი გვაქვს. ამ ზარალს სხვა პროდუქციით თუ გადავფარავთ.

ასე რომ, საიმედოს ბევრს ვერაფერს გპირდებით. გამოსავალი ერთია, ტრანსპორტსა და საწვავზე ყველამ ვიზრუნოთ.

## ერთხელ კიდევ

მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა რესპუბლიკაში, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანთა უკიდურესი გაჭირვება. შეიძლება ითქვას ადამიანები შიმშილობენ, საწვავის უქონლობის გამო არ მუშაობს ტრანსპორტი, ამიტომ იძულებული არიან სოფლებიდანაც კი ფეხით იარონ რაიონის ცენტრამდე თუ პირიქით.

ყველაფერს შეიძლება გაუძლოს ადამიანმა, მაგრამ, რომ იტყვიან ახლა კაცის გარდაცვალება ორმაგი სიკვდილია. დაკრძა-

## ოც წელზე მეტია

ლვის წესი თუ ტრადიცია მოითხოვს ჭირის დღის გადახდას, რა ქნას ოჯახმა, რომელსაც არც პური, ლობიო და არც ღვინო აქვს. კერძო ბაზარზე მისი შესყიდვით, ბუნებრივია, იმოდენა ვალებში ვარდება ოჯახი, ალბათ ერთი თაობა ვერ გაისტუმრებს.

ყოველივე ამას ზედ დაერთო ის, რომ ქალაქ ცაგერის სასაფლაოზე, რომელიც განკუთვნილი იყო ქალაქის, ქვედა ცაგერისა და გვესოსათვის, მიცვალებულის დასაკრძალავი ადგილი აღარაა.

ეს საკითხი ორ ათეულ წელზე მეტია დგას დღის წესრიგში, მაგრამ, საუბედუროდ, არც კომუნისტური ხელისუფლების და არც მომდევნო მთავრობის დროს დაადგა საშველი საკითხის გადაწყვეტას, ხოლო დღევანდელ ხელმძღვანელებს ეტყობა სრულებით არ აწუხებთ ეს საკითხი.

წინა ხელისუფლების დროს ის მაინც გადაწყდა, რომ სასაფლაოსათვის გამოყოფილიყო ფართობი ველაში, ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე. ლაპარაკი იყო მის კეთილმოწყობასა და შემოკავებაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, მას შემდეგ პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. ახლა კი ეს ფართობი მოსახლეობამ მიიტაცა თვითნებურად და ყანებად აქცია.

ყოველივე ამის შედეგად ცაგერის სასაფლაოზე რომ ველარ ასაფლავებენ მიცვალებულებს, ზოგიერთი [illegible] იძულებული გახდარა მისასვლელ გზასა და მიმდებარე ტერიტორიაზე დაეკრძალათ, რაც ყოვლად გაუმართლებელია, თუ ასე გაგრძელდა, უმოკლეს დროში შეივსება ეს გზაც და ალბათ შემდეგ ქალაქის ცენტრალურ ბაღში დაიწყებენ დასაფლავას.

დროა მოწოდებულმა ორგანოებმა იზრუნონ ამ ყველასათვის მეტად მტკივნეული საკითხის გადაწყვეტისათვის.

**ნ. ცაგერელი.**

## პრობლემა

დავით გურამიშვილის შეგონება ზუსტად მიესადაგება რაიონის სანიტარულ მდგომარეობას. ახლა არ შევუდგები იმის ანალიზს, თუ ვინ უფრო დამნაშავეა შექმნილ სიტუაციაში, ის, ვინც ეროვნულობის ლოზუნგებით პირში ბურთსა გვჩრიდა, საკუთარ ჯიბეს ისქელებდა, მაღალ თანამდებობას იკავებდა და შრომით მოპოვებულის დანგრევისაკენ მიგვითითებდა, თუ ისინი, ვინც ასპარეზს გაერიდა, ერთი შემთხვევის წარმოშობა; რომ ნაწლავურმა ინფექციებმა მატების ტენდენცია დაიმკვიდროს.

რა ობიექტური მიზეზები მაძლევს ამ განცხადების საფუძველს? პირველი ის, რომ ქალაქისა და რაიონის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება ძალზედ არადამაკმაყოფილებელია, რასაც თან ერთვის წყლის ხარისხიანობის ცუდი მაჩვენებელი, მეორე — ქალაქისა და სოფლის ცენტ-

### «მე კი ვფარავ»...

ახურების მხრივ ოპერატიული მნიშვნელობის ისეთი სამსახურები, რომლებიც საათის მექანიზმივით ზუსტად [illegible] უნდა მუშაობდნენ, რამეთუ მათი მუშაობა ადამიანების სიცოცხლესთან და ჯანმრთელობასთან არის დაკავშირებული.

განგებ ვუვლი გვერდს იმ ორგანიზაციების და დაწესებულებების დასახელებას, რომელთა ეზოებში ანტისანიტარია სუფევს, რადგან ასეთები ძალზედ ბევრია, მაგრამ არის ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობის ობიექტები, როგორიცაა:

გაჩუმება არჩია და ბოროტების საჯეს გასაქანი მისცა.

დიახ, ასეა სოციალისტურ საზოგადოებრივ ფორმაციასთან ბრძოლა ამენეზულის ნგრევით დავიწყეთ. თითქოს კაპიტალიზმის დროს არც ჭამა და არც ლაბაზა არ დაგვჭირდებოდა, ალნიშნულზე ჩვენი ლიდერები პირდაპირ მიუთითებდნენ, საინტერესოა თვითონ თუ თმოსდხენ, ახლა დღემდე როგორ გაძლეს უჭმელი.

დრო მიდიოდა, ქვეყანა იძირებოდა, იმკავებელი არავის იყო, სოციალური პრობლემები გზა ეთხოვ კონფლიქტებს დაუთმო, რომელიც სოციალური „ხარაკირის" როლში აღმოჩნდა, კიდეა შედეგებმაც არ დააყოვნა, დღეს ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ინფექციების მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა, ხოლერით დაავადების შემთხვევები თითქმის ერთეულამდე გაიზარდა, რაც მიუთითებს ავადობის ზრდის ტენდენციისაკენ.

იბადება კითხვა, რამ განაპირობა ინფექციის აღმოცენება? პასუხი მხოლოდ ერთია, მოქმედებაში მოვიდა ეპიდემიური პროცესის მამოძრავებელი ძალები, რაც კანონზომიერი წინაპირობაა ნებისმიერი ინფექციების აღმოცენების დროს. ბუნებრივია, დაგვაინტერესებს თუ როგორია, ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ჩვენს რაიონში? ძალზე ცუდი და დაძაბულია, რადგან ინფექციის აღმოცენების ყველა წინაპირობა არსებობს გარდა ერთისა: ეპიდემიის მამოძრავებელ კომპლექსში არ ჩაერთო ინფექციის წყარო და თუ არ ჩაერთო ეს არავის დამსახურება არ არის. საკმარისია დაავადების რებში არსებული სისუფთავის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მე სამე—მოსახლეობის ორგანიზმის დაქვეითებული ფიზიოლოგიური სტატუსი და იმუნო—გენეტიკური დამცავი მექანიზმის არარსებობა.

გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან ერთია, უნდა ამოქმედდეს ის სამსახურები, რომლებიც ამ მიზნით არიან ფორმირებული, პირველ რიგში ამ სამსახურების შემაკავშირებელი რგოლი უნდა მოიძებნოს, რაც რაიონის ამჟამინდელი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების დონიდან უნდა დაიწყოს.

მეორე პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას, ეს საწვავის ფონდების ათვისება და მიზნობრივი ხარჯვაა. მიმაჩნია, რომ ფონდების განმკარგულებელი სასახურის ხელმძღვანელი უნდა იყოს და არა „ზემოდან" დიქტატით და განკარგულებით იბნეოდეს. კომუნალური სამსახურის საწვავით მომარაგებაში ამჟამინდელი დეფიციტი ფონდების „ზემოდან" განაწილების შედეგად არის გამოწვეული. ადამიანები, რომელთაც ქვეყნის თუ რეგიონის საჭე ხელთ უპყრიათ, პირველ რიგში უნდა გაერკვენ, რომელია პირველი რიგის საკითხი, ასეა აქაც, რაიონში არის ეპიდემიოლოგიური და მომსრაისაავადმყოფო, ვეტსამსახურები, სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, კვების დამამზადებელი და მარეალიზებელი ობიექტები, სადაც ეპიდემიოლოგიური რეჟიმების შენარჩუნება სპეციფიკური მოთხოვნილებითაა ნაკარნახევი, მაგრამ ამ ობიექტებში შექმნილი ანტისანიტარია უწესრიგობის კლასიკური მაგალითის ზღვარსაც აჭარბებს.

ქოლერა მომდგარია კარს, ქალაქის მოსახლეობას წყალი დიდი შეფერხებით მიეწოდება. ჰოდა, ასეთ პირობებში ინფექციების თავიდან აცილების [illegible]გვარი გზები მოჭრილია.

საჭიროა ისევ ძველ ნაცად მეთოდს მივმართოთ, ვფიქრობ, კეთილი ნების, მამულიშვილური აღტკინების და სულის ადამიანები ჯერ კიდევ არიან ჩვენი რაიონისა და ქალაქის მასშტაბით, რომლებსაც თუ ვინმე სათავეში ჩაუდგება, გულთან მიიტანენ საერთო სატკივარს, ჩაერთვებიან სანიტარულ მოძრაობაში, ფიზიკური და მორალური მხარდაჭერით საკუთარ წვლილს შეიტანენ ქალაქისა და სოფლის ცენტრების დაგვა-დასუფთავებაში, წყალსადენების სათავეების კეთილმოწყობაში.

**ჯ. ყვირილიანი,**

**ცაგერის რაიონის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი.**

**რედაქციისაგან:** წერილი უკვე დასაბეჭდად იყო გამზადებული, როდესაც კომუნალურ საწარმოთა კომბინატში შეიცვალა ხელმძღვანელი. ახალმა 3—4 დღეა ბევრი კარგი ღონისძიება გაატარა ქალაქში სანიტარულ—ჰიგიენური წესრიგის დამყარებისათვის.

## კრიმინალური ქრონიკა

11 აგვისტოს ოპერატიული ჯგუფის მიერ ქალაქის ტერიტორიის შემოვლისას მურის ხიდის ტერიტორიაზე დაკავებულ იქნენ ქალაქ ცაგერში მცხოვრები [illegible] ბაგრატ ვილგემის ძე კოპალიანი და მიშა მურთაზის ძე ჭელიძე, რომლებმაც ჩამოხსნეს 120 მეტრი სიგრძის კავშირგაბმულობის სარაიონთაშორისო კაბელი. ბ. კოპალიანმა აღიარა 1993 წლის 30 ივნისს ამავე ტერიტორიაზე ჩადენილი ასეთივე დანაშაული, საქალაქთაშორისო სატელეფონო კაბელის ქურდობა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

13 აგვისტოს ღამის 03 საათზე შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სამორიგეოში გამოცხადდა სოფელ ქვედა ცაგერის მაღაზიის გამყიდველი ძაძუ კოპალიანი, რომელმაც განაცხადა, რომ სოფელ ქვედა ცაგერის ტერიტორიაზე მომავალს სამმა უცნობმა პირმა წაართვა იმ დღეს პურის ფქვილის რეალიზაციიდან შემოსული 800.000 კუპონი. გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა გაზეთებიდან

მადლი

# ვინ არიან «იეღოვას მოწმეები»

### წერილი IV

ჯვარი რწმენისა და წეს-ჩვეულებების იმ სფეროს მიეკუთვნებოდა, რომელიც წარმართებისაგან გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ ზოგიერთი ქრისტიანი, რომელიც ქრისტიანობას ცხადად აღიარებდა, შუბლზე ჯვარს გამოისახავდა, და ამ ნიშნის გამო მას წამებით კლავდნენ (წმ. კვიპრიანე თაგვენელის ცხოვრება).

ბერძნულ ენაში ხშირად ერთ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ასეთ სიტყვათა რიგს მიეკუთვნება „სტაუროს", რომელიც მარგილს (სარს) და ჯვარს ნიშნავს.

მარგილზე ან სარზე ადამიანის დასჯა სიკვდილით დასჯის უძველესი ხერხია. ამ დროს სარის ერთი ბოლო მიწაში იყო ჩამაგრებული, ხოლო მეორე — წამახვილებული დაბოლოება — ვერტიკალურად აღმართული. სარზე გასმა დასჯის საზარელი ფორმაა — წამახვილებული ბოლო ორგანიზმში მანამდე შედიოდა, ვიდრე ბეჭებშუა ან მკერდში არ გამოვიდოდა. ცხადია, რომ იესო ქრისტეს წამება არ მომხდარა მარგილის ან სარის გამოყენებით. ლოგიკურია დავასკვნათ, უფალი ჯვარზე ევნო.

უფლის ჯვარცმასთან და გარდამოხსნასთან დაკავშირებით ხუთიოდე ადგილზე გვხვდება სიტყვა: „ქსილონ", ძველ ქართულ თარგმანშია „ძელი", ასევეა გადმოსული უახლეს ქართულ თარგმანშიც.

ეს ადგილებია: 1. „...რომელიც თქვენ მოჰკალით ძელზე ჩამოკიდებით (საქმე 5.30);

2. „...და რომ ბოლოს იგი მოკლეს ძელზე ჩამოკიდებით (საქმე 10,39);

3. რომელმაც ჩვენი ცოდვები თვითონვე აზიდა ძელზე თავისი სხეულით (1 პეტრე 2,24).

4. ჩამოხსნეს ძელიდან და დაასვენეს სამარხში (საქმე 13,29);

5. წყეულია ყოველი დაკიდებული ძელზე (გალ. 3,13).

პირველი სამი ციტატა ეკუთვნის პეტრე მოციქულს, რომლისთვისაც მსჯელობის გამუქება და ძველ აღთქმასთან პარალელის გავლებაა დამახასიათებელი, მეოთხე და მეხუთე კი მოციქულ პავლეს ეკუთვნის.

„ქსილონ—ი" ბერძნულიდან ჩვეულებრივ ხედ, იშვიათად კი მოუჭრელ ხედ ითარგმნება. ძველ ქართულ ენაში ძელი ხეს აღნიშნავდა. მაგ. გრიგოლ ხანძთელმა „აღაშენა ძელისა ეკლესიაი" (7); „...ძმანი ტყესა მის ხანძთისასა შთამოყრიდეს ძელსა" (51). ამიტომ ამ მუხლებში უკეთესი იქნებოდა სიტყვა „ხის" ხმარება.

თანამედროვე მკითხველი, როცა ახალ თარგმანებში სიტყვა „ძელს" ამოიკითხავს, მას „ბოძთან" აიგივებს, რასაც მოხერხებულად იყენებენ „იეღოვას მოწმეები" და საქმეში გაუხედავ ადამიანს ადვილად „უმტკიცებენ", რომ იესო ქრისტე ჯვარზე არ უწამებიათ. ახალი აღთქმის ახალ ქართულ თარგმანს ჩვენც ვიყენებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ძველ კანონიკურ ტექსტთან ვაიგივებთ. ახალი თარგმანით იმიტომ ვსარგებლობთ, რომ მკითხველს ტექსტის გაგება გაუადვილდეს, მაგრამ არა ყოველთვის, რადგან ზოგჯერ იგი წმიდა მამათა დადგენილ ტექსტს არ ეთანხმება.

დღესავით ნათელია, რომ მოყვანილ მუხლებში მოციქულები ყურადღებას არა წამების იარაღის ფორმაზე, არამედ მის მასალაზე, კერძოდ იმაზე ამახვილებენ, რომ ის ხისგან იყო დამზადებული.

დასკვნა ასეთია: უფალი იესო ქრისტე რომში მიღებული წამების იარაღზე ევნო, რომელიც ფორმით ჯვარი იყო, ხოლო მასალით ხე.

„მე კი ნუ დავიკვეხნო, გარდა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრითა" (გალ. 6,14).

### რა სახელი ეწოდებოდათ მოციქულთა დროინდელ ღვთის მორწმუნეებს?

საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთი საკითხის განხილვა: აქვს თუ არა რაიმე საფუძველი სახელწოდებას „იეღოვას მოწმეები" ახალ აღთქმაში? რა ეწოდებოდათ პირველ საუკუნეში იესო ქრისტეს მოწაფეებსა და მიმდევრებს? იქნებ დღეისთვის არსებულ მრავალრიცხოვან მწვალებელთა ჯგუფებიდან ერთ-ერთის სახელწოდება მაინც გვხვდება ბიბლიაში?

თუ ბიბლიას კიდევ ერთხელ გადავიკითხავთ, დავრწმუნდებით, რომ ღვთის მორწმუნენი არსად არ იწოდებიან არც „იეღოვას მოწმეებად" და არც სხვა რომელიმე იმ სახელს ატარებენ, რომელიც დღეს მწვალებელთა შორისაა მიღებული.

ბიბლიაში, როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმაში ხშირად იხმარება სიტყვა „მოწმე". მაგ. წმიდა პირველმოწამე სტეფანეს პავლე მოციქული მოწმედ იხსენიებს: „როდესაც შენი მოწამის, სტეფანეს სისხლი იღვრებოდა (საქმე მამ. 20). „მოწამე" ძველი ქართული სიტყვაა და ახალ ქართულად მოწმეს — რაიმე შემთხვევის დამსწრეს, მაყურებელს აღნიშნავს. შემდეგ ქრისტიანობის ისტორიაში მან სარწმუნოებისათვის წამებულის მნიშვნელობაც შეიძინა (წმ. მოწამე გიორგი და სხვა.).

უფალი იესო ქრისტე მოციქულებს ეუბნება: „...იქნებით ჩემი მოწმეები, იერუსალიმში და იუდეასა და სამარიაში და ქვეყნის კიდემდე" (საქმე 1,8). აქ უფალი მიუთითებს, რა საქმე უნდა აკეთონ მოციქულებმა. გვაქვს აგრეთვე წინასწარმეტყველება მათი მომდევნო ბედის შესახებაც.

„მოციქულთა საქმეში" უფლის მოწაფეებზე ნათქვამია: „...მთელ წელიწადს იკრიბებოდნენ ისინი ეკლესიაში, ასწავლიდნენ დიდძალ ხალხს. ასე პირველად ანტიოქიაში ეწოდათ მოწაფეებს ქრისტიანები" (საქმე 11.16).

მოციქული პეტრე წერს: „ხოლო თუ ვინმე იტანჯება, როგორც ქრისტიანი, ნუ შერცხვება, არამედ ადიდოს ღმერთი ამის გამო" (1 პეტრე 5.6).

ქრისტეს მოწაფეები არა მხოლოდ თვითონ უწოდებდნენ თავიანთ თავს ქრისტიანებს, არამედ ასე უწოდებდნენ მათ რომის იმპერიაშიც.

„მოციქულთა საქმეში" გადმოცემულია პავლეს თავის დასაცავი სიტყვა რომის პროკურატორ ფესტოსა და იუდეის მეფის აგრიპას წინაშე. მოციქული პავლეს დამაჯერებელი გამოსვლის შემდეგ, მეფე აგრიპამ აღფრთოვანება ვერ დამალა და თქვა: „ცოტაც და ქრისტიანად მაქცევ" (26.28).

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ მოციქულთა დროინდელი ეკლესიის წევრებს უკვე ქრისტიანები ეწოდებოდათ.

როგორც აღვნიშნეთ, ახალ აღთქმაში არაერთგზისაა ნახსენები, რომ იესო ქრისტე ჯვარზე ეწამა. მაგალითისათვის ერთ ადგილს მოვიტანთ (სრული სწავლება ჯვრის შესახებ იხ. მადლი № 5. 1993): „მაშინ (პილატემ) მისცა იგი მათ (ჰურიათა) რაითა ჯუარს-ეცუას. ხოლო მათ წარიყვანეს იესო და ეკიდა თვით ჯვარი თვსი და განვიდა ადგილსა მას თხემისასა, რომელსა რქვან ებრაელებრ გოლგოთა და მუნ ჯუარს აცუეს იგი.. და დაწერა პილატე ფიცარი და დაწერა ჯუარსა მას ზედა და იყო წერილი ესრე: იესო ნაზარეველი, მეუფე ჰურიათაი (იოანე 19,16—19).

**გიორგი ჯიბუტი.**

(გაგრძელება იქნება)

(დასაწყისი იხ. „ლეჩხუმი" №29,30 31;32).

## ჯანმრთელობის საგუშაგოზე

**ის გაუსაძლისი ყოფა, რაც დღეს ჩვენს ირგვლივ სუფევს, ეკონომიკური გაჭირვება და სიდუხჭირე იწვევს სხვადასხვა დაავადებათა გავრცელებას. დღეისათვის რაიონის მოსახლეობაში შეიმჩნევა ჩიყვით დაავადებულთა სიმრავლე. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ბავშვებში. გვესაუბრება რაისაავადმყოფოს ექიმი-ენდოკრინოლოგი ვენერა ჩაჩხიანი.**

ჩიყვის კერები ძირითადად ცნობილია მთაგორიან რაიონებში. საქართველოში ჩიყვის ენდემია ძველთაგანვე იყო სვანეთში და რაჭა-ლეჩხუმში. იოდირებული სუფრის მარილის ხმარებამ ჩვენში ჩიყვი პრაქტიკულად მოსპო, მაგრამ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ისეთ ენდემურ კერაში, როგორიც ლეჩხუმია, შეიმჩნევა ჩიყვის გავრცელების გახშირება.

ენდემური ჩიყვის წარმოქმნის ძირითადი მიზეზი ნიადაგში იოდის სიმცირეა. ადამიანი დღეში 120-140 მიკროგრამ იოდს საჭიროებს, რომელსაც იღებს ცხოველურ პროდუქტებსა და წყალთან ერთად. თუ ნიადაგი არ შეიცავს საკმარისი რაოდენობის იოდს, ადამიანი დღიურ ულუფაში ვერ იღებს [illegible]რო რაოდენობის იოდს და თანდათან განვითარდება ამ ელემენტის დეფიციტი. იოდის სიმცირის გამო ფარისებრი ჯირკვალი ვერ გამოიმუშავებს საკმაო რაოდენობის ჰორმონებს, გამოიყოფა დიდი რაოდენობით თირეოტროპული ჰორმონი, რაც ფარისებრი ჯირკვლის გადიდებას იწვევს.

ენდემური ჩიყვი ყველა ასაკშია მოსალოდნელი, მაგრამ უფრო ხშირია სქესობრივ მომწიფებამდე და მეტი სიხშირით გვხვდება ქალებში, ვიდრე მამაკაცებში. დაავადების სიხშირე უფრო მეტად შეიმჩნევა 18—20 წლის ასაკის ადამიანებში.

ენდემური ჩიყვი [illegible] ხშირად დიფუზურია, მაგრამ არცთუ იშვიათად კვანძოვან წარმონაქმნს შეიცავს. იგი სხვადასხვა ზომისაა. შორსწასულ შემთხვევაში შეიძლება იყოს 10—15 სანტიმეტრი დიამეტრის და უფრო დიდიც.

თუ ჩიყვი დიდი ზომისაა განსაკუთრებით მკერდუკანა ლოკალიზაციის შემთხვევაში, ვითარდება მეზობელ ორგანოზე ზეწოლის მოვლენები. ტრაქეაზე ზეწოლის გამო სუნთქვა გაძნელებულია, საყლაპავზე ზეწოლისას კი დისფაგია ვითარდება. ხორხის ქვემო ნერვზე ზეწოლა იწვევს ხმოვანი იოგების დამბლას, ხმა ჩახლეჩილია, ხრინწიანი, მკერდუკანა ლოკალიზაციის დროს ჩიყვი შეიძლება დააწვეს ვენას და გამოიწვევს სხეულის ზემო ნაწილის ვენების გადავსებას, სახის შესიებას.

## ჩიყვი: პროფილაქტიკა საუკეთესო წამალია

პროფილაქტიკის მიზნით ენდემურ კერებში მოსახლეობა მარაგდება იოდირებული სუფრის მარილით. მკურნალობა დამოკიდებულია ჩიყვის სიდიდეზე და ხასიათზე. დიდი ზომის კვანძოვანი ფორმის და მკერდუკანა ლოკალიზაციის შემთხვევაში მკურნალობა ოპერაციულია. როგორც ცნობილია, უკანასკნელ პერიოდში ჩვენს რაიონში საგრძნობლად მოიმატა ენდემური ჩიყვის შემთხვევებმა. დღეისათვის 600 ავადმყოფი მკურნალობს და კარგი შედეგით.

აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ მოსახლეობას — განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ აღნიშნულ მდგომარეობას და პროფილაქტიკის მიზნით, სანამ შეამჩნევდეთ ფარისებრი ჯირკვალის გადიდებას დროულად მოიყვანეთ ბავშვები ექიმთან გასასინჯად.

## განცხადება

ცაგერის სასურსათო კომბინატის დირექცია მოსახლეობისა და ორგანიზაციებისაგან შეისყიდის ლიმონათის ბოთლებს ნაღდ ანგარიშზე.

ერთი ბოთლის ფასი 20 კუპონია.

მიღება და ანგარიშსწორება მოხდება კომბინატთან არსებული მაღაზიის მეშვეობით.

კომბინატის დირექცია.

## ყურადღება

სასურსათო კომბინატის დირექცია აწარმოებს მოსახლეობისა და ორგანიზაციებისაგან ხილის შესყიდვას შემდეგ ფასებში:

ვაშლი ნაჭარი—1 კილოგრამის ფასი 40 კუპონი.

შავი ქლიავი—ფასი 200 კუპონი.

ჟანჟური (კორკიმელი)—ფასი 100 კუპონი.

თანხის გადახდა მოხდება ადგილზე ნაღდ ანგარიშზე, ხილის გამოტანა კი ჩვენივე ტრანსპორტით.

კომბინატის დირექცია.

## გილოცავთ

**ქორა თუთისანის ოჯახს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
**გელა ხაბულიანი ოჯახით.**

---

**ნინო, კახა მუშკუდიანებს**
გილოცავთ ვაჟის შეძენას.
**ლელა ხაბულიანი.**

---

**ამურ ნემსწვერიძეს, ჯუსტან ხეცურიანს**
გილოცავთ შვილების გედნი[.]რებას.
**ომარ გურჯალიანი ოჯახით.**

---

**თამაზ, რიმა ახვლედიანებს**
გილოცავთ ნინოს გედნიერებას.
**ქუჟუნა, გივი მინდაძეებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
**ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები.**

---

**ნატო კვენეტაძეს, გონდო განძელაძეს**
გილოცავთ გედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ.
**ელისო, ამირან გურგუ[.]იანები.**

---

**გულნაზი, გივი მდივნებს**
გილოცავთ შორენას უნივერ[.]იტეტში ჩარიცხვას.
**ოლეგ გიორგობიანი ოჯახით.**

---

**დათო კაპიტოს ძე ჩიქოვანს**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძ[.]ნას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
**სასურსათო კომბინ[.]ტის თანამშრომლები.**

---

**ნინო კოპალიანს, ამირ[.]ან კვირკაშვილს**
გილოცავთ გედნიერებას. გის[.]რვებთ მარადიული სიყვარულით ლამაზი ოჯახის შექმ[.]ას.
**ლაშა გურჯალიანი ოჯახით.**

---

**კახა, ბაბა კვირკაშ[.]ილებს**
გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას, დაგბედებოდეთ ნატვრის ახდენა.
**სოფიკო, მაია, ხათუნა კვირკაშვილები.**

---

**დათო დავითის ძე კოპალიანს**
გილოცავ უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას. კვლავ წინსვლა და სიხარული მომელოცოს.
**ნათია ბენიძე**

---

**მარიკა კოპალიანს**
გილოცავთ დაბადების დღეს. იხარე და იბედნიერე.
**შორენა და როსტომი.**

---

**ირინე ოთარის ასულ სვანიძეს**
ირინე დეიდა! გილოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერი და მხიარული დღეები ნუ მოგა[.]ლოს ღმერთმა.
**მარიტა და მერაბი ახვლედიანები.**

---

**ელისო გიგას ასულ მურცხვალაძეს**
გილოცავთ დაბადების დღეს. სიყვარული და ბედნიერება ყოფილიყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი.
**საშენი მასალების საწარმოს თანამშრომლები.**

---

**ნინო ალავიძეს, როსტომ გიორგობიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული და სიყვარული დაგბედებოდეთ მრავალჟამიერ.
**ქეთინო, იური ახვლედიანები.**

---

**მირანდა ყურაშვილს, ევგენი მამარდაშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.
**ოთარ თუთისანი ოჯახით.**

---

**დოდო, კაკო სილაგაძეებს**
**დარეჯან, რამაზ მეგრელებს**
**მაყვალა, სერიოჟა ლურჭუმალიძეებს**
გილოცავთ ქალიშვილების სასწავლებლებში მოწყობას. სულ წარმატებებით ევლოთ.
**ცაგერის შემნახველი ბანკის თანამშრომლები.**

---

**ხათუნა, ამირან კოპალიანებს**
გილოცავთ ვაჟის შეძენას გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.
**საშენი მასალების საწარმოს თანამშრომლები.**

---

**იზა, იური ჩაკვეტაძეებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასიქადულო შვილი.
**საგზაო სამმართველოს კოლექტივი.**

---

# ხსოვნა

## მაყვალა ბიძინას ასული მანდარია–ბოხუა

ერთი წელი გავიდა იმ დაწყევლილი დღიდან, რაც ჩვენგან წახვედი, წახვედი და თან წაიღე ჩვენი გული და სული, დაგვიტოვე გაუნელებელი სევდა და მწუხარება. ვფიქრობთ და ვერ შევრიგებივართ იმ აზრს, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ, ჩვენი გულის მოურჩენელო ტკივილო. ახოვანი, სილამაზით, სინაზით შემკული ახალგაზრდა წახვედი ჩვენგან, როგორ დაგვაკლდა შენი სითბო და ალერსი ყველას.

რა მალე გაირბინა უსაშველო ტკივილის წელმა, მაგრამ შენს ხსოვნას ჩვენს გულებში ვერაფერი წაშლის.

მოახლოვდა შენთვის სანატრელი პირველი სექტემბერი. შენი ოცნება ხომ გურანდას სკოლაში შესვლა იყო. უშენოდ უნდა მივიდეს სკოლაში ბავშვი. შენს შვილებს არავინ აკლებს სითბოსა და მზრუნველობას, მაგრამ მათი სევდიანი თვალები მაინც უშენობას გვაგრძნობინებენ.

ნათელი, წმინდა იყო შენი ლამაზი სული. შვილების უზომოდ [illegible] მხოლოდ [illegible] შენს შვილებს [illegible] ყვავილებით ამკობენ. შენი სულის მოსაგონად სანთელიც ციმციმებს და ცრემლები ელვ[.]ება შენს გულზე დაყრილ მიწას.

იძინე მშვიდად, მაყვალა! მსუბუქი იყოს შენთვის ეგ მიწა, ჩვენ კი ყოველთვის მუხლს მოვიყრით შენს წმინდა საფლავთან. იმედიანია ჩვენი გულისტკივილი, რადგან შენს სახელს დავიწყების აჩრდილი არასოდეს დაადგება.

შენი დატანჯული დედ-მამა, და-ძმები.

---

## მარინე ვარლამის ასული ღოღელიანი–დავითულიანი

უჩვენობა არჩიე და დაგვიტოვე დიდი, ტკივილნარევი სიყვარული. შენს ოჯახში მწუხარებამ, სევდამ და ცრემლმა დაისადგურა. შენი სურათებიდან გადმოსული ღიმილი ვერ ანუგეშებს შენს ერთას მარიკას, რომლის ალერსი და სიყვარული მხოლოდ ერთი დღე გარგუნა ბედმა. ის შენს სახელზე გაიზრდება ჩვენს ოჯახში. შენს დიდ სიყვარულს ჩავუ[.]ერგავთ, სალოცავ ხატად გავუხდით შენს სულს.

მარი. უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე. სიკვდილიც რჩეულებზე ნადირობს თურმე. სიკეთით სავსე, თავმდაბალი, ლამაზი და უწყინარი გვყავდი. გაზაფხულივით ხალისიანი და საყვარელი სიცოცხლეს შეხაროდი. ყველა გიყვარდა, ყველას უყვარდი. თვალები მუდამ სითბოთი და სიყვარულით გქონდა სავსე. მხოლოდ ცრემლი, დარდი და ნაღველი ახლავს შენს გახსენებას, რა თავზარდამცემი იყო ჩვენთვის შენი დაღუპვა, არ დაგინდო ულმობელმა სიკვდილმა.

ჩემო ტკბილო და თბილო მარი! ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი ამაყი და სპეტაკი სული. შენი ხატება სამარადჟამოდ იცოცხლებს ჩვენს გულში. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ლამაზ სულს, უკვდავებაში გადასულო, ყველასთვის საყვარელო.

მული ნანული დავითულიანი–მიქაძე.

---

ცაგერის სამხედრო კომისა[.]იატის თანამშრომლები [.]ანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**რუბენ ჯიქიას**
[.]არდაცვალების გამო.

---

ზაურ სილაგაძე ოჯახით [.]ანაუგრძნობს როზა, თამაზ ჩაკვეტაძეებს დედისა და [.]ედამთილის
**თამარ კვირკაშვილის**
[.]არდაცვალების გამო.

---

საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქორა გვიშიანს ბებიის
**დომიკა გურჯალიანის**
არდაცვალების გამო.

---

[.]ამაზ, ნუგზარ ხეცურიანები, [.]ია ახვლედიანი ოჯახებით [.]ანაუგრძნობენ დათო, [.]ლექსანდრე, სოზარ ცვარიანებს მამისა და ბიძის
**დავითის**
[.]არდაცვალების გამო.

---

მაზლი ბიჭიკო, რძალი ნორა, მაზლიშვილები კარლო, აზა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ცაგო ილიას ასული გვანცელაძე–ნემსწვერიძე**

---

[.]ვთანდილ, ანზორ, იური [.]ავლედიანები თანაუგრძნობენ შოთა, ილო ნემსწვერი[.]ებს მეუღლისა და დედის
**ცაგო გვანცელაძე–ნემსწვერიძის**
გარდაცვალების გამო.

---

პავლე გაკურაძე, მიხეილ ბერიძე, ლევან ჩიქოვანი, ლოლა ჩაკვეტაძე, გრიშა ხმელიძე, დუდუშა გორგასლიძე თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**დავით ცვარიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ოთარ სილაგაძე ოჯახით იუწყება
**ალიკო ნიკოლოზის ძე ფალავანდიშვილის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

გონდო ყურაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
**გრიგოლ სილაგაძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

გურამ, ზურაბ, ანზორ ტვილდიანები, კუკური ნემსწვერიძე, ჯიბო ახვლედიანი თანაუგრძნობენ შოთა ნემსწვერიძეს მეუღლის
**ცაგოს**
გარდაცვალების გამო.

---

როზიზონ კვირკაშვილი, გრიშა გუგავა ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**რუბენ ჯიქიას**
გარდაცვალების გამო.

---

ავთო ბერიძე, ვალერი ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან
**დავით ცვარიანის**
გარდაცვალებას.

---

შვილები თენგიზ, ნარგიზა, ზაირა, ფატიმა, რძლები ნანა, ლუბა, სიძეები ამირან კოპალიანი, ზაზა კონცელიძე, დები მაშიკო, ოლია, შვილიშვილები ლევანი, ამირან, ძმისშვილი ანზორ ქურცხვალაძე, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**მარგალიტა სევარიონის ასული ფრუიძე**
დაკრძალვა 26 აგვისტოს, ხუთშაბათს, სოფ. ჩხუტელში.

---

ბიძინა გუგავა, შურა შკუბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**მარგალიტა ფრუიძის**
გარდაცვალების გამო.

---

ვასილ ლეთოდიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**დავით ცვარიანის**
გარდაცვალების გამო.

---

გიზო, გელა, აქვსენტი, ალექსანდრე გოლეთიანები თანაუგრძნობენ მთვარისა, ბორის გოლეთიანებს დეიდაშვილის
**ასლანის**
გარდაცვალების გამო.

---

ნუნუ ახვლედიანი, ია ხმელიძე თანაუგრძნობენ ლენა ფალავანდიშვილის ოჯახს ბიძის
**ალიკო ფალავანდიშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

დამფუძნებელი–რედაქციის კოლექტივი

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56, ტელეფონი 22-81.
შეკვეთა №18 ტირაჟი 1856

ცაგერის რაიონული სტამბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა